

პარეზი

№ 20 - საღამური

ყოველ-კვირეული იუმორ. ჟურნალი.



გაოსტა ღაიფო!

0-11-11

ოცოტეხაძე ს. პიბოიძე.

სალიტერატურო

„ბარაშკაჯანი“

გრიგოლ რობაქიძისა.

რვა მისია,
 ზეცას ნისია
 არ შერჩენია წვეთი ცრემლისა ..
 ჰგოდებს საწყალი,
 ჩამოსდის წყალი
 რკინასაც გასტეხს ტყვია გრდემლისა.*)
 ვიშ ამ საღამოს,
 შეუსაბამოს!
 ტანჯული ქვეყნის, ტანჯული ერი
 გაიგდებს ჯანსა,
 „ბარაშკაჯანსა“...
 როგორ უხდება ხალხს უნაიერი
 მამულო ჩვენო,
 ქართველო ბრძენო,
 ქალაქს დასცქერი შენ ზედაძენო,
 რას ხედავ ნეტავ,
 ქართლის კოშკებზე
 ოპ შესარცხვენო, ოპ შესარცხვენო.

I

სცენა ლამაზი...
 სინათლე ნაზი...
 ეგ ვინ წარმოსდგა აქ ბუმბერაზი?
 ჰიიი განგებავ,
 საქმის გაგებავ,
 ეს მწერალია, ან თუ ხარაზი?
 ალალო ბაგე,
 (ოპ რათ დამდაგე!)
 ყვავილებს მუსრაგს დაუნდობელია
 აგერ ყაყაჩო
 საწყლათ წაახრჩო,
 ეგერ ზამბახი გასრისა ხელათ...
 საბრალო ვარდსა
 რალათ ჰგერის დარდსა?
 ნეტავ რა აენო, რა აწყენინა?
 ნუ თუ ამგვარის,
 კკუა მაგარის
 შესაფერია სცენაზე ბინა?
 მეტი აქვს განი,
 მეტი აქვს ხანი
 ნუ თუ ეგ არის „ბარაშკაჯანი“?
 ოი, რას ამბობ?
 განგებასა გმობ,

ეგ პირველი მამული შვილი,
 არ ყავს წყვილია
 ჰქვიან ილია
 მისი გვარია ზურაბი შვილი.
 —მაშ „ბარაშკაჯანი“
 რა იქნა, ქაჯანი?

II

აგერა, მოდის...
 ახალი მოდის
 დეკადენტია ნიკ მიღებული...
 ბაყაყი, გველი,
 კუ, მორიელი
 ყველა თან მოჰყავს ალოღებული.
 ზამბახის ყვავილს,
 ზურგისა ქაეილს
 ის დაუამებს, ის დაუწყნარებს,
 ვირს დაყვირებს,
 ხალხს გააკვირებს,
 ბაყაყს ამღერებს, გველს ამძინარებს.
 მას კლეოპატრა
 მყის მოენატრა,
 ყურისა სმენა მსწრაფლ გაუქვავდა..
 ჩვენს ტრფობის საგანს
 იმ „ბარაშკაჯანს“
 ეს გარეგნულათ სულაც არ ჰგავდა.
 ნუ თუ გვეგონათ
 გულს მოგვეფონათ.
 რომ ეს მწერალი „ბარაშკა“ იყო?
 იგი სხვა არი,
 ბრძენთა სადარი
 ლორთქიფანიძე, სახელად ნიკო,
 —მაშ „ბარაშკაჯანი“
 რაიქნა, ქაჯანი?

III

თითონაც მიკვირს,
 მეც ძვირათ მიღირს
 „ეროვნულ“ სატრფოს მოგველო თვალის,
 მაგრამ არა სჩანს,
 ჩვენს ტრფობის საგანს
 წინ უსწრებს თურმე ვილაც „კლდის ქალი“
 ამას რას ჩადის?
 სწორათ ვერ დადის...
 ალბათ გზა იყო მეტათ კლდოვანი,
 სიტყვა ებმება,
 ხელი შეშდება
 შორს გასროლილი ძალ-გულოვანი.
 ნეტა ვინ არი
 გულ გასახარი
 ლექსი ებნევა ერთი მტკაველა?
 ნუ გაუმტყუნებთ,
 ძრახს ნუ ვარგუნებთ,

*) ვაცხადებ საჯაროთ და სამწუხაროთ, რომ ეს პატარა დეკადენტური პოემა დაწერილია განსაკუთრებულ პირთ-ბებში და განსაკუთრებულს უაიდაზე. ეშმაკი.

ვე მგოსანია, ვაჟა-ფშაველა.
—მაშ „ბარაშკაჯან“
რაიქნა, ქაჯან?

IV

გქონდეს მოთმენა!..
მე გეტყვი შენა
ბევრი ვეძებეთ და ვიმარხულიყა!
ისიც გვეყოფა,
სანახაობა
ჯერ რაც ვისმინეთ და ვინახულეთ.
აი თუ გინდა.
გიორგი წმინდა
გზად აბარგულა სატრფოს თანხლებით,
(თუ თქვენც იქ გინდათ,
აქ მოგვეყინდათ.
მიკვირს, რატომ არ წაიხანხლებით?)
მაშინ ნაქენი,
ეს ვიირი ჩვენი
სოფელს შიდაგა პლატონიურად,
შენ მდინარეზე,
მომდინარეზე
ნავით გასკურდა. საქე ტიფურად
მან მოუქნია,
(ეს რა უქნია?)
ეს საშიშარი და საფარსაგო?
მუნ მომღერაომა
და იმ მხევალომა
უცებ რომანი თურმე ააგო.
გრძნობა ენჯაყვა
დარდებს გადაყვა
პლატონიურად ედენთილი სიძე,
ტურფად ცნობილი,
(შკლავებ წრთობილი)
ჩვენი გრივოლი დიასამიძე.
—ვა' , ბარაშკაჯან“
რაიქნა, ქაჯან?

V

გითხრა მართალი,
განათლდა თვალი...
პოეტს ეწვენა... ტიტველი ქალი.
დასათრობელი
როგორც საბელი.
მგოსანმა თურმე იწყო კანკალი.
ბოლოს იხარა,
მუნტო მოიხარა
იმა ხატების წინ მედიდურმა,
ქალმა შეხედა,
და ეს გაბედა:
„რა ვისმინეო, მე უბედურმა!“
ვაქრა აჩრდილი,
ავტორი ზრდილი

ზეზე წამოდგა, ამაყად შლილი.
მე სხვა მეგონა
აჩრდილის მონა,
თურმე კოტეა ის მაყაშვილი.
—ჰმ, „ბარაშკაჯან“
რაიქნა, ქაჯან?

VI

როგორაც შევლი
ბილიკზე მგლელი
ის გამოიქრა სცენისა არეს,
და შუქ ნისლეული
ვილაც ასული
კუთხეში ეწვა სატრფოს მწუხარეს.
სდუმს თურმე იგი,
ტრფობის ტარიგი,
სდუმს, სდუმს და სკენება, სკენება და ქრება.
მას, გაშმაგებულს,
ვითარცა ბუღბუღს
რისხვისა ქარი მკვეთრ ემუქრება.
გააქვს სისინი,
(ოჰ სპერმატინი)
თითქოს გაისმის ბავშვის კრიქინი
თვალ უწვდენელი,
აზრთ საფანელი
გადაიშალა „მგოსნისა“ ქინი *)
ნეტავ ვინ არი
რუსთველის დარი,
„მოკლისა“ ეგზომ „გრძლათ“ მათრეველი?
თურმე ნუ იტყვიო,
მდიდარი სიტყვიო
ლევან ყოფილა ის, მეტრეველი
მას „ბარაშკული“,
უკლები, სრული
კურსი აქვს თურმე გადასწავლული,
მაგრამ „ბარაშკა“
სიბრძნისა „ბაშკა“
ის არ ყოფილა, ტრფობით დაგული.
—მაშ „ბარაშკაჯან“
ვინ არის, ქაჯან?

VII

ოჰო, ჰო, ჰო, ჰო!
ვით კორტიზა ხბო,
ისე გამოხტა პატარა ბიჭი!
პირ მომღიმარი,
ვითარცა ქარი,
გადაგვიშალა თავისი ნიჭი.
ტრფობის საგანი
„ბარაშკაჯანი“

*) ბოდიშს ვიხდი, რომ რიფმის კეთილმოგვანობისა-
თვის არ დავზოგე და მგოსნის „ნიჭი“ უკულმა ვიხმარე.

იყო იმისი ცხოველი ნიქის
 ცხვირზე უკბინა
 და შეაშინა ..
 (გასინჯვა სურდა ალბათ მას კიქის!)
 ეს არ იქმარა,
 თავს ჩააფარა...
 ოჰ, რა ლამაზათ, რა მოხდენილათ!!!
 კიდეც ეკონა,
 კიდეც ემონა
 ორთაქალღუღლათ, გამოჩენილათ.
 ძლიერ შეამა!'
 უცხონდა მამა
 ვინაც ის, იმ დღეს, იქ მოგვიყვანა.
 ეგ არი ისო.
 ,,საბარაშკისო“
 ამას იტყოდა მთელი ქვეყანა,
 მაგრამ ცდებოდენ
 დასკვნას შეებოდენ
 შეუფერებელს, შესაბამოს
 ამგვარი აზრი
 თავ მომაბეზრი
 მრავლად ვისმინეთ ჩვენ იმ საღამოს.
 იგი კი, ზრდილი,
 სიტყვებში ფრთხილი,
 ვაჰ, „საეროვნო ჩანგის“ მტდერავე
 არს გრიშაშვილი
 პოეტი ჩვილი
 ,,საბარაშკოთა“ ლექსთა მწერავე.
 —მაშ ,,ბარაშკაჯან“
 სად არის, ქაჯან?

VIII

გამოდის აგერ,
 სულ რაღაც სხვაფერ,
 ხელები უკრთის, ხმა უკანკალებს
 შეფთავს და ღელავს,
 სცენასა სთელავს..
 გრძნობით იწვართავს თითისა ძეალებს,
 და იწყებს ტანჯვით
 (ბულბულის ბაძვით)
 შორიდან ვარდებს ეაღერსება!'
 როგორც შევხედე
 ფიქრი გაებედე:
 ნეტავ ვინ არის ესე არსება?
 ხმამ იღუმაღმა,
 (ვეჭვობ მართალმა)
 ჩამძახა ყურში მწვანე ჩურჩულით:
 ესე ,,ლამპარი“,
 არს წინაპარი
 ბარათაშვილის ნიქისა სულით.
 ის უღელს უწყეს,
 (ტიკებთან თუ წიგს)
 გრიშაშვილისა ,,ბარაშკულ“ მუხებს,

შანშიაშვილსა,
 და გრიშაშვილსა
 ნუ თუ არ იცნობ ,,ეროვნულ“ ტუხებს.
 —მაშ ,,ბარაშკაჯან“
 სად გაჰქრა, ქაჯან?

IX

ჰა, ტაში გრვეინავს,
 (ეშმაკს არ სძინავს!)
 ეგ ვინ გამოჩნდა ტრიბუნის მხარეს,
 ტრფობით ქართულით,
 (უზომოდ ბრძნულით)
 კვალად რომ იწვევს ტაშსა მქუხარეს?
 ვინ გენერალსა,
 ტრფობისა აღსა
 ახვევს და ადგამს შარავანდედათ?
 ვის მომავალსა
 უნათებს თელსა
 გენერალისა იმის იმედათ!
 ოჰ, სი-ვარული
 სიტყვა-კაზმული!
 რა ძვირფასია, რა მშვენიერი!
 გული მით გულობს,
 მითი სულდგმულობს
 ლამაზ მოსიტყვე ,,პართევილი ერი“
 და გომართელი,
 საათი მთელი
 ტრფობის ნიაღვარს გადმოაქუხებს
 ზედმეტი ტრფობით
 ეშხით და მკობით
 ყვონებ სატრფოსაც კი შეაწუხებს
 —მაშ ,,ბარაშკაჯან“
 რაიქნა, ქაჯან?

X

გთხოვთ ბარაშკაზე ნუ მკითხავთ რამეს:
 მათში ვიჯექი მე იმა ღამეს
 ვისმენდი იმათ ტაშს, მოწონებას,
 ქებას ვასხამდი იმის გონებას,
 ვინც ეკრე მარჯვეთ და ხელოვნურად
 ბარაშკებს ხელსა ავლებდა ყურად,
 ვინც კრეჭავს იმათ დაუზოგავათ,
 და მომლიმარი შესცქერის თავად.
 მას შემდეგვისთვის
 მოვინახულებ...
 (რაკი გაბრღვებით
 სჩანს შევესრულებ!)
 და ჩვენი ტრფობის
 ძვირფას საგანზე,
 მაშინ გაიმბობთ
 ,,ბარაშკაჯანზე.“

ეშმაკი.

მ რ ი ქ მ ხ ი

1

ვისია ქობი
 მიტოვებული?
 ქარი მრისხანე,
 გაშმაგებული,
 ირგვლივ აწვება,
 დრტვინვით ასკდება,
 დამზობას ლამობს
 გამწარებული.
 აღმოსავლეთით
 გაპყურებს კარი,
 ვით ცალი თვალი
 მიბნედილ-მკვდარი!
 ისლს აცლის უნდოთ
 ქარი საზარი,
 ძარცვავს, აძინებს
 ბედგანამწარი...
 და სიბრაღულით
 გაპყურებს მგზავრი.
 ვისია ქობი?
 რათ ანგრევს ქარი?

ირგვლივ მიდამო,
 ტყე, მთა და ბარი
 ვაზაფხულისა
 სიამით მტკბარი...
 ის კი შუაში
 ვით სატკივარი,
 ვით მომავლისა
 უცხო სიზმარი!..
 რაღაც სიმბოლო
 გაუგებარი!
 შუე ვერ ანათებს,
 თუმც მოსჩანს კარი ..
 ის აქ იზრდება
 მხნე მეომარი,
 მომავლის ძაღი,
 იმედი, ფარი.
 ჯერ აკვანში აქვს
 თავ შესაფარი.
 ბრძოლის სიზმრებსა
 აზმანებს ქარი ..
 მშობელთ ძარცვავენ...
 ცრემლი სდით... ღვარი...
 ვისია ქობი?
 რათ ანგრევს ქარი?

2

ვისია ქობი
 მიტოვებული...
 ქარი მრისხანე,
 გამწარებული,
 ირგვლივ აწვება,
 დრტვინვით ასკდება,
 დამზობას ლამობს
 გაშმაგებული!
 დასავლეთისკენ
 გაპყურებს კარი,
 ვითა უფსკრული
 გულ-მემაზარი,

ვით ცალი თვალი
 მიბნედილ-მკვდარი!
 ისლს აცლის უნდო
 მამაკი ქარი
 ძარცვავს, აძინებს
 ბედ-განამწარი ..
 და სიბრაღულით
 გაპყურებს მგზავრი!
 ვისია ქობი?
 რათ ანგრევს ქარი?

როს ირგვლივ ყვავის
 ტურფათ მთა-ველი,
 ის, ჰარმონიის დამარღვეველი,
 მწარე ფიქრების
 გამომწვეველი,
 სასწაულითა
 ისევ დვას მთელი,
 ქართან ბრძოლაში.
 ჯერ უძლეველი.
 ახლო ბინადრობს
 მტარვალი-გველი,
 მიდამოს რისხვა,
 შიშის მომგვრელი,
 შხანით და გესლით
 მინდორთ მომრწყველი.
 წიწილებსა სჩეკს
 და კვებავს ქრელი...
 სული რათ უღვას,
 აღმოხდეს, კელი...

იასამანა,

დ ე კ ე შ ე ბ ი.

(შეგადრენის სააგენტო)

ბათუმი. როგორც იქნა შესდგა სახალხო უნი-
 ვერსიტეტის წევრთა სასოგადო კრება.

კრებას დაესწრო 5^{1/2} კაცი და ასზე მეტი ბუ-
 ზი. ორატორთა დამუნჯებამ გამოარკვია, რომ მთე-
 ლი წლის განმავლობაში საზოგადოების გამოეობას
 უკეთებია არაფერი.

იქიდანვე. ილია ბახტაძემ წაიკითხა დაჩაგრუ-
 ლი ლექცია დაჩაგრულ პოეტზე.

ლექციას დაესწრო თვით დაჩაგრული პოეტი.
 ამბობენ: ახლო მომავალში ერთ-ერთი დაჩაგრულ
 ახლოაზრდა პოეტოაგანი წაიკითხავს ლექციას შემ-
 დევ თემზე: დაჩაგრული ლექტორი და მისი დაჩა-
 გრული ლექცია.

იქიდანვე. ამბობენ: ახალი რუსული გაზეთის
 გამოცემით ძველი გაზეთის გასაღებამ იკლო.

ეს ტყუილია! ჩემი თვლით ვნახე, რომ ნორია-
 ში მეყასებები ფუთობით ყიდულობდენ.

იქიდანვე. არსდება მუშტ კრივამეთა საზოგა-
 დოება. საპატოო წევრებთან ჩასწერეს თფილისელნი
 ცნობილი მუშტაძენი. ახლო მომავალში საზოგადოე-
 ბა დაიწყებს მოქმედებას. მოსალოდნელია ლოყათა
 ლეოქვა და ცხვირთა ლეწვა. ცხვირნი ღიდ საგონე-
 ბელში ჩაყარდენ.

იქიდანვე. აქაურ მუშების ყურე¹ თან ერთად დასცალეს ასი თორმეტ დიუმიანი ზარბაზანი; მუშები მცირედით შეიშმუშნენ, მეორე გვერდზე გადაბრუნდნენ და კვლავ განაგრძეს ტკბილი ძილი.

იქიდანვე. უგზო უკვლოდ დაიკარგა სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველთა გახსნის იმედი; ვინც იპოვის ჯილდოთ მიეცემა „კან, შინ, წილ, კან, განის“ აქაურ განყოფილების ზედ მეტი ენერგია.

მგონის სიტყვები.

I

ფრთებს გამოვისხამ, ჩიტათ ვიქცევი, ავკრავ კამარას, ცათ ავიჭრები, მზისკენ გავსცურავ, გავსრიალდები, მის პირველ სხივსა გულს ჩავეცვრები. სალამს შეესტყორცნი მთვარე-ვარსკვლავებს, მიუხმატკბილებ ზეცის ყვავილებს, შემოვადრატავ ღრუბელთა ჩრდილებს უკუნეთიდან გადმოსროლილებს. გვირგვინს დაუწნავ ქვეყნის მნათობებს, ტკბილ ჰიმნს ეუმღერებ შესამკობელათ, გაყინულ გულის აღმგზნებ გამობობებს, სიცოცხლის მომტანთ სამშობლო ველათ, და კვლავ ჭიკჭიკით ძირს დავეშვები, კვლავ ენახავ მთებსა ჩემის ქვეყნისას; დაეუსტვენ კოკორს, ეშხით დაფთვრები, ვახარებ მოსვლას განთიადისას.

II

ნუ, ნულარ სტირი ჩემო პატარავ, ნუ შეგაშინებს ცული სიზმარი! მე ისევ აქ ვარ, ობოლ სულის დგამე, თავს დაგტრიალებ ფიქრით დამდნარი. ყური დაუგდე ჩემ ტკბილ ნანასა, პაწაწავ, სმენა გაიმახვილე, ნუ წიეცემი ჯერ კეშანსა, ფიქრებით გული ნულარ დათრთვილე. ვიცი გაშფოთებს მოძმეთ ვაება, მაგრამ ნორჩი ხარ, ჯერ დამაცალე; როს შეგეძლება თავის დადება, მე თვით გაგიწვევ, შენ გენაცვალე. შემდეგ ჰკა დუშმანთ შეუწყნარებლათ, მზე შეიყვარე, დაამე წყვილიდი მუხთალ-ბედისგან დაჩაგრულ მოძმეთ უმახარობლე შენ განთიადი.

III

ჰოი, ცხოვრებაე, მქუხარე ზღვა ხარ, მარად მშფოთავი დაუდგრომელი! მაწამებ, მაგრამ მაინც მიყვარხარ, შენ ხარ, შენ მხოლოდ შეგების მომგვრელი. გრძობა მუდმივით შენთან ნავარდობს, ყველაზე მეტათ, გულს ენატრები,

ვერ მაჯადოებს, გრძობას ვერ მითრობს საიქიოსი ტკბილი ზღაპრები.

მე მიჩვენია შენი სტიქია, ის ჩემთვის უფრო საამო არი; ამ დაქრილ გულსა მეტათ მიამებს ვინამ დავითის ხმა-ტკბილი ქნარი. სიკვდილ სიცოცხლეს შენთან აქვს ბინა, მზისგან უხვი ხარ, თან გდევს წყვილიდი; შენთან თავდება ყოფნა არ ყოფნა, შენს მკერდზე იშვის თვით განთიადი!..

ფრთებს გამოვისხამ, ჩიტათ ვიქცევი, ავკრავ კამარას, ზეცათ აფურინავ... მე მუხთალ მტრისგან არ დავიძლევი?! ცხოვრებაე, შენ თუ აღარ გამოწირავ!

ნ. ჩხიკვაძე.



წვიპურგ-ლექციები.

ლექცია I.

(სენაკისთვის)

„ყველაფერი შესავლით უნდა დაიწყო, რიტორიკაშიც ასე. სწორიაო“, ამბობს ჩვენი დღეობული მგოსანი.

მაშ მეც შესავლით დავიწყებ, მაგრამ.. ერთი კია: კაი შესავალსაც ხომ კაი თავი უნდა? ლექციის შესავლის მონახევა ხომ ისე ადვილი საქმე არ არის, როგორც სენაკის ციხის კარებისა?

შესავალშივე რომ ფეხი არ წავიტებო, ისევ ილიასაგან ნახმარ გონიერი ანდაზით დავიწყებ: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს ზურგს უქანაო“. მარა, უკაცრავთ! ცული კი არა იტიქროთ რა... ეს ანდაზა ისე ანაზღვეულად სიტყვამ მოიტანა, თორემ ან პირში, ან ზურგს უკან თქვენს სამძახისს როგორ ვიტყვი! თქვენი ძრახი ხომ ჩემი ძრახიც იქნება, და აბა ამას რათ ვიზამ ასეც რომ არ იყვეს, დასაძრახავი ან კი რა გვაქვს! მე თქვენ გეტყვიო, თვალაღობა გვაკლია, თუ ტანადობა, კობტათ ჩაკვადა-ხურვა არ ვიციო, თუ ტკბილათ სმა-ჭამა! ან და ვითომ ვინმე გაკანდიერდება და ზრდილობიან სიტყვა პასუხს და თავაზიან ქცევას დაგვუწუნებს?

თქვენც არ მომიკვდეთ! ამისთანობაში, მადლობა ღმერთს, მთელი ქვეყნის მეცნიერნი აღიარებენ კოლხიდის შვილთა წარჩინებას. კაცმა რომ თქვას, არც სხვა მხრით ვართ დასაწუნნი... რატომ ვაქო!! ჩვენი დაბა—ახალი სენაკი, ჯერ ერთი რომ ახალია და მეორე კიდეც,—დაბაა. დიახ, ჯერ ჯერობით თუმცა დაბაა, მარა ზოგიერთ ქალაქებად მონათლულ ქალაქებზე არც თუ ისე დაბლაა...

ხაზინა ჩვენ არ გვაკლია, რკინის გზა, სამაზრო სამსჯავრო და სამმართველო და ფოსტა ტელეგრაფი. ესენი ხომ ყველა გვაქვს და აბა რით სჯობს ჩვენს დაბას ქალაქად მონათლული ოზურგეთი, გინდ თელავი?!

თუ აღებ-მიცემიზეა საქმე, მიცემის რა მოგახსენოთ, თორემ აღება სხვებზე ნაკლები არც ჩვენ ვიცით. არა გჯერათ? თუ არ გჯერათ, აი თუნდ ჩვენს აწ განსვენებულს „შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობის“ კასაში იკითხეთ. (თუ კასაც თავგებს არ შეუქამია, რასაკვირველია) დიახ, იკითხეთ იქ და, სხვა თუ არაინ, ბატონი სპირდონი მაინც დაგარწმუნებთ, რომ ჩვენ იქიდან, რაც იყო, სულ ერთიანათ ავიღეთ. მიცემით კი, ჯერ არაფერი მიგვიცია... მარა, უკაცრავათ! მე ამ აღებ-მიცემობაზე როდი ვამბობდი... სიტყვის მსგავსების გამო სავანს გადავცდი, თორემ მე ვაქრობის შესახებ მოგახსენებდით.

ამ საქმეში ხომ ჩვენ ბადალი არა გვყავს. სხვა რომ არა იყოს რა, მარტო იმის საღირალი რა აქვს იმ ზოგიერთ—უკაცრავათ პასუხია—ქალაქებს, რამდენსაც ჩვენ სიმინდს, დაფნას და პარკს ვგზავნით „გრანიცაში“?! ეს კია: ახლა, არ ვიცით, რომელი დუმის გადაწყვეტილებით, გატანილ საქონელზე კაპეიკ-მაპეიკებია თუ რალაც მათი კულისრიკები, დააწერეს გადასახადით. მაგრამ ეს სხვათა შორის... ტყუილათ ხომ არ შემოიღებდენ ამ გადასახადს? ალბათ ვისმე ეკვირება. ნიკოლაძემაც ხომ დააწესებინა ნახევარ კაპეიკიანი გადასახადი? ვითომ—ფოთელეებზე ნაკლები ჩვენ რით ვართ! იქ თუ „ბუხტს“ აკეთებენ, ჩვენ ამ ბუხტზე მისასვლელ ხიდებს მაინც გავაკეთებთ, თუმცა, ღვთის წინაშე, ამას წინეთაც ქე შევკრიბეთ ოციოდე თუმანი მუხურის გზაზე ქალაქის ბოლოში ხიდის გასაკეთებლათ და ხიდი დღემდე არ გავგიკეთებია, მარა რა ვუყოთ!.. ალბათ „ინჯინრები“ ვერ შეთანხმდენ ამ ხიდის „პლანზე“...

ერთი სიტყვით, როგორც ხედავთ, არაფერი გვაკლია, რომ მოქალაქეებად გავხდეთ... იმე! თავი და თავი სულ დამაიწყდა. „ლასტინიკები“ რამდენი გვაქვს, არ იკითხაეთ?.. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... მარა ყველას ვინ მოთვლის! ჩვენოდენი სასტუმრო, მგონია, ქუთაისსაც არ აქვს. ჰოდა... ის საგუბერნიო ქალაქი და ჩვენი სენაკი კი დაბა! სიპართალია ეს?!..

სასტუმროებში სადილს თუ მიირთმევთ, ხანდისხან, მართალია, წვნიან შექამადში ბუხები ბანაობენ, მაგრამ ეს რა ჩვენი ბრალია... ბუხებს ხომ ვერავინ დაბაშს და ისინი კი იქ იყრიან თავს, სადაც რასმე გამოვლიან. თუ საიდან გამოდიან ეს კაცობრიობის მტერნი, ეს ბუხნი ფრთოსანნი, ვიდრე ჩვენ მოქალაქეთა ულუფაში ბანაობას დაიწყებდენ, ეს ყველა ადგილობრივმა მზარეულმა ჩინებულათ იცის და თუ ჩვენ აქ ვერ განვმარტავთ, რასაკვირველია არა იმიტომ, თითქო არ ვიცოდეთ, არამედ იმიტომ, რომ საჯაროთ არ ითქმება.

ამისათვის ვაჩერებ თქვენს ყურადღებას ბუხებზე და ვწყვეტ ერთი კვირით ლექციას, რომ ყველა თქვენგანმა იხილოს ის სანახავი.

ფარდა.



მისტვირული

„ჩასძინებია ბენუკას, გაუშვა დრო და ხანაო: ვერ უპატრონა ქამანჩას, უგდია კარებთანაო, სტვირს მოღრეცია კისერი, ძველდება თანის თანაო, მაისის ქარი უბერავს, კენესის ხმა მოიტანაო, ბუნების ფერხულს ზედ ერთვის საგალობგელი „ნანაო“;

ცაზე გაგვიჩნდა კომეტა,
ამ დროის გამოცანაო,
არ ვიცი, რას მოასწავებს
მნათობი ამისთანაო?
ცხრაი საჭენი კული აქვს
და თავი დღავისთანაო“...

ასეთი მაწერილობა
ემპაქა მომიგზავნაო,
ზედ შავი ეკრა ბეჭედი,
შვაში ფრთა გაეყარაო
და წარწერილი უბნობდა:
„ბენუკას ხელში ჩქარაო!“
პიი პუ, ჩემო ქიმიანავ,
და ჩემო სტვირის ძალოა,
თურმე უჩვენოთ ქვეყანას
მოელის ხათაბალოა;
ავდგეთ, წავიდეთ მიმოვლოთ
ქალაქის ტყე და ქალოა,
იქნება მართლა გამოდგეს
ეგ ჩემი თავის ქალოა?

ამბავსა რასმე დავიწყებ,
ნამდვილს, არ მონაგონესა:
ამირაჯიბის საქციელს
არავისაგან მოსაწონესა,
ნეტავ რას შეგება ეგ კაცი,
რა ხშირად შინჯავს ღონესა?
ცხადია, ესე საქენი
მოყმეთა მოუწონესა,
შეუქვს გამჭირახობა
მით სევდა მოუფონესა,
უთხრეს, რომ მალე მიაღწევს
იგი მკლავაძურ ცონესა,
თუ არ დაზოგავს ქუჩებში
უწმაწურ გასაგონესა.

ნეტავი პეტრეს რას ერჩის
გელეიშვილად ხმობილსა?
ივანე ხეჩატუროვის
მუშაკს (და არა ძმობილსა)
„გარედან“ „შიგნით“ წერაში
ნაქებს და გამოწრობილსა,
ქუჩაში რისთვის უხვდება
მას ერთსა, მხოლოდშობილსა,
ფიშტოს რათ ეძებს „ვაჟაკი“
ტყვიებით ამოწყობილსა,
ან და რათ ღანძლავს დედ-მამას,
ოდესაც ებრძვის შობილსა,
ქუჩებს რათ ასმენს სიმყარულს
პირითგან ამოშობილსა!
ნუ თუ ეს რედაქტორსა ჰგავს?
თუ გავს, სით გამოშობილსა?

ახლა მისმინეთ იგავი
ძველი და არა ახალი

აქ მხოლოდ ლექსათ იქნება
აზრით არ გამოხატული,
„დედა-ენაში“ ეწერა
და ერქვა: „კიტრის ნათალი“
შიგ ჩინებული აზრია
თუ ვსურთ სწორი და მართალი.
გზად მიდიოდა ერთხელა,
თურმე გლეხ-კაცი, საწალი,
კიტრები ეწყო ჯიბეში
ნორჩი და ახალ-ახალი. .
სთლიდა და სქამდა გემოზე
გზად იბნეოდა ნათალი.

მაგრამა, გლეხი იმ ნათალს
გზის პირად გადმანსროლსა
ზე აფურთხებდა, რომ იგი
არ შეეჭმა გამვლელსა.
თითონ კი ასე ფიქრობდა:
„არ მოკვიდებო მას ხელსა
ველარც სხვა შესქამს, რამეთუ
ზედ ნახავს კაცის ნახველსა“ ,
ამგვარათ თესდა ის გლეხი
ბოროტებას და ნაღველსა!!!

როცა დაბრუნდა შინათკენ
მზე მალლით გადმოჰყურებდა,
აქერდა სიციხე უზომო,
სიკვდილსა მოაწყურებდა,
არ სჩანდა წვეთი წყალისა
წყურვილი უზუსტურებდა,
არ იყო მეტი საშველი
იმ ნათალს რაშურებდა
და წელან დანანერწყვათ
ტანჯულ რუღს დაიპურებდა“

ეს გამახსენდა იგავი
ოდეს „ლისტოკის“ ვილათა,
ვიხილე პეტრეს წერილი
გამოწოლილი გძელათა,
ვიფიქრე: ნათალს კიტრისას
ნანერწყვს, არც ისე ძველათა,
მოსვლია „შვილი უძღები“
ცხადათ და უეჭველათა.

განა არ იცით? ქვეყანა
მუდამ ასეა ქრელიათა?

ბე-ნუ-კი.

დ მ კ მ შ მ ბ ი.

(მეთოხის საბგენტო)

აკეთი. პ. თოხაძემ, მამასახლისობაზე საუკუ-
ნოთ ჯვარი დაიწერა.

ლანჩხუთი. აქაურ ქალებს აზრათა აქვთ: რად-
განაც სათეატრო სახლის ასაშენებ მიწაზე ვერ შე-
თანხმდენ, პაერობლანი გამოიწვიონ და თე-
ატრიც იმაში მოაწყონ.

ჩიბთი. გარდაცვალა სამკითხველს თავი.
ნეტა ბოლოც არ გაყვებოდეს.

იქიდანვე. ჯურნალი „მათრას-სალამური“ არ მოგვდის. პეტრე კი სდუმს.

ჯუმათი. ნ. ქყონის სახლის ნახშირს ადმინისტრაციამ მწყემსათ სამი სოფლის ყარაჯელი მოუჩინა სანამ დააზღვევენ.

ის კვლავ სდუმს.

ჩაღამო არის. ლაყვარდა ცაზე ლაღათ მისცურავს პირ ბადრი მთვარე და გაყურებულ არე მარესა სხივთ შადრევანს ჰვენს კაშკაშ-ელვარე ძირს გადაშლილნი მთა მინდორ ველნი, საკინძ გახსნილნი მწვანოვანობენ, და სურნელოვან ყვავილთ ფერია ციურ ცვარ-ნამში ბანოვანობენ ველზე, ნიაფი. ფიქრთ უკუყრელი, დაქრის ჩურჩულით დაუცხრომელი შორით ბუღბუღი ტკბილ ხმას გასძახის ვარდი ეშხით თრთის, დაბლა თავსა ხრის კორდიდან მოხტის ჩხრიალა წყარო სატრფოთ ქცეულა მთელი სამყარო მაგრამ მე, კი მე, ვერ მხიბლავს არე ედემ სადარო, პირ მომცინარე. ტყვეთ შეუპყრივარ სევდა ნაღველსა, გრძნობის მომშხამავს, გულის დამწყველსა, ბუნების წარმტაც ნარნარობასა, უგულოთ ვუცქერ, ვანრისხებულო, ტურფა ყვავილებს ვმუსრავ და ვიფლავ როგორც დემონი გამძვინვებულო. ან რატომ არის, როს ბუნებაში გამეფებულა ალერს ტრფიალი, თავს რად დაგვიჩხავის შავი ყორანი, სულს რათ გვიხუთავს ოხვრა ტიალი? ქვეყნის შემოქმედს მეტყველთა ტანჯვა რატომ არ ესმის, არ ეყურება, კაცს, სულითქმის იმედ ვაღვართქაფებულს შვების ნამათ რათ არ ეპყურება? საგრამ ის კვლავ სდუმს, გულის ხმიერის სიტყვიბი სულაც არ ეყურება და კოკობ ძუძუს მსგავს მთებათ აწვდილ წალკოტისაკენ გაიყურება.

დ. თურდოსპირელი.

დ ე კ ვ შ ე ბ ი

ქუთაისი. „ცნობილ პედაგოგ“ კონსტანტინე მკურნალს სიზმრად უნახავს: „თითქო მის „საყოველთაო“ გიმნაზიას, მთავრობის გიმნაზიათა უფლებები მიენიჭა“.

ამ გარემოებამ დიდ საგონებელში ჩააგდო ცნობილი ლევიციკისტები: სპ. ენუქიძე და დ. დ—ძე. განუზრახავთ: მიჰბაძონ კონსტანტინეს მაგალითს დ

ქუთაისის გუბერნია „თავისუფალი გემნაზიებით“ მოფინონ.

იქიდანვე. გამოცდილი მკვლევრები შეუდგენ ადგილობრივ „წარჩინებულ პირთა“ ყოფა ცხოვრების აღსძრა. მკვლევართა გზა დაბნეულობას კუდიან ვარსკვლავს აწვრენ.

იქიდანვე. მრავალ-ტანჯულმა ქუთაისის ბულვარმა საჩივარი განაცხადა: „რა არის, მეყო ამდენი ტყეზნა უსაქმო ხალხისაგან, მომეცით ერთი დღე მოსვენებაო“.

გ ა მ ო ტ ა ნ ა

(ქუთაისისათვის)

ვინც გამიცნოს, იმისაივის საჩუქრად ეს გვიზრახია: ებოძოს ეშმაკისაგან ერთი ან ორი კვახია.

დაბალი, სქელი, წვერადი, ორფეხთა ჩამომავალი, ტიმოშკინ-კუსტინოვიჩის „ქეშმარიტ“ გზითა მავალი, ვერბანი-ლევიტსკის „გენიის“ შორწმუნე თაყვანმცემელი, გრიგორე-ოლენინისა აზრების გადმომცემელი, „ლექციებს“ მართავს, რომლითაც თვალს გვიხვეცს სწორათ მზერისა, მქადაგებელი გამოდის „წაფარდებული წერისა.“ განგებას მოუვლენია ჩენი სკოლების „მხსნელათა“ (მოჭირისუფლეს უკეთეს ველირსებოდით ძნელათა!) ხან აქ ყრება, ხან იქა, დაძვრება დაბა სოფლთა, საბრალო სოფლის „უჩიტლებს“ გასწურავს ჭირის ოფლათა ხან ნაწერს წუნობს, ხან ნაკითხს, ხან ერთსაც, მეორესაც, (გადარუსების მომხრეა. სახეში გქონდეთ ესაც!) აცხობს და აცხობს „დოკლადებს“ „ღრმა აზრით“ გამსკვალულებსა (ფართი ფურთობით იგებენ თურმე უფროსთა გულმბსა!*) რასაცა სიტყვით ის იცავს, საქმით იმისი მტერია... და ვინც მას დროზე ვერ იცნობს, უკაცრავად თუ... მტერია.

ანათემა.

*) ხე, ხე, ხე! ზოგნი ამ ხერხით კიდევ იძენენ ფულმბსა!

ეშმაკი.

მწოდება ეშმაკისადმი.

(თფეღისის სჯიხდის სდგურდინ)

ძმ.ო ეშმაკო! ჩვენს სადგურში
 ბევრი არის იმისთანა,
 ღირსეულად რომ წარმოსდგეს
 თქვენ კურთხეულ მათრახთანა.
 ამ უსტარის მიღებისას
 ადრე მაინც გვინახულე;
 კანტორაში შემობრძანდი,
 გამგეობა შეიხურე...
 წარსულისთვის რაც ეკუთვნის,
 თქვენი ვალი შეასრულე,
 მომავალში რომ გასწორდენ
 სიტყვა ამით დაასრულე.
 ასე უთხარ: ყველა წვერებს
 გაუწიონ ანგარიში;
 რას მიქვიან წაყურება;
 ხათრი ხოქვი და გინდა შიში,
 ბოროტებას ჩაკელა უნდა
 როცა არის დასწყისი,
 თორემ რო ფებს გაიდგამს
 გვიან არის კენესა, ვიში.
 ქარგი იქნ იმით კრებას
 თქვენის ძვალით დასწრებოდი,
 ოჰ, იტოდეთ ეშმაკოჯან,
 რა სიამით დასტკებოდით!
 მაგრამ რაკი ვერ დაესწარ
 არ ყოფილა, აღბათ, წერა,
 მე ვკისრულობ რომ გადმოგკეთ
 თუ შევიძელ მარტლ-აღწერა,
 შინაარსი რომ გაგაცნოთ
 მე ზომეცეს ისე ლხენა,
 კურთხეული მათრახისგან
 მოადგებათ ღიდი წყენა.
 წარსული თვის ოცოა ათში
 კრება ჰქონდათ ამ ჩვენ „გმირებს“,
 ზოგ მათგანის საქციელი,
 ვფიქრობ მეტად გაგაკვირვებს,
 ჩვენ კი როგორც შეჩვეულებს,
 დიდათ მაინც არ გვაკვირებს,
 რადგან ბევრის მოწამე ვართ
 და ვაქტრდით ენას კბილებს.
 დღის წეს-რიგში კითხვა ჰქონდათ
 თუმცა ბევრი მათ დასმული,
 მაგრამ ერთი იმით შორის
 აღმოაჩნდათ მეტად რთული
 სდგება ერთი ორატორი
 („სნოტი“ ხელში მომართული)
 წინააღმდეგ იძულებს,
 მოუსმინოს დასასრული.
 აქ მეორე ემხადება
 მოიხადოს მისი ვალი,

წარმოღია და ხელში იგლო
 დიდი ბოთლით მან შელანი,
 სტოლზე მაგრათ დაანარცხა
 ვაი მათი ცოდვის ბრალო,
 ეინაც მასთან შეხოზლობდა
 ლამის დაუბნელა თვალი ..
 ამას მოჰყვა შეჯახება,
 რომ ჰკითხავდა ორსა ორი
 „ხუმრობითაც“ ლაწა-ლუწი
 საქები და მოსაწონი,
 არ გაუშვებს დაუმტკრევი
 სკაში სთქვი და გინდა სტოლი,
 მიძნელდება მთლად აწერა
 უნდა მოგახსენოთ სწორი.
 აგრე ამა ჰირსა ზედა
 შეეჯახა ორი „მდევი“
 მოზაყენიკ დასახიჩრდენ
 იქით-აქეთ გამაწუწვი,
 მელნით შეგმავ-შეგვიღებეს
 კაცნი, სტოლი და კედლი,
 ბრალდება, ძმავ, გაგაცანი,
 განჩინებას შენგან ველი.

გურჯ-ოღლი

კუკლები

I

მიყვარს მე ჰანგი
 გრძნობით დამდაგი,
 გულში ჩამწლომი, აღმშვრთი სულის
 ჩანგის სიმებზე ნაქსოვნ ქარგი
 ამტოკებელი სევდის და წყლულის.
 მიყვარს ხმა წყნარი,

ტკბილი, ნარნარი
 ხან კი მქუხარე, მიწლომი ცისა
 ხან შხამზე მწარი, ხან მალად გამტკბარი
 თავ ბრუ დამხვევი... ახ. მომწონს ისა!

II

მიყვარს მე ქალი
 ტრფობით დამთვრალი
 სიყვარულისა ცეცხლის მკვესარე
 ხან ამყ-მწყრალი, ხან შესაბრალი
 ხან შავ თვალთავან სხივთა მგზნებარე:
 მიყვარს ის ნაზი,
 მიყვარს ლამაზი
 სულის შეეაა, გულის ვარლია
 მაგრამ ვაჰ! ჩემი ტურფა, მალხაზი
 ცვალეზადია... ცვალეზადია

III

სიმით გავამი ჩანგს სიყვარული,
 საამო ჰანგი ბუღბულს მოვბარე
 და გულის ძგერით,
 ნარნარ სიმღერით

ძვირდას სატრფოსკენ მე გვაჩერე
ვნახე სულიკო... ტურფა, ცქრილა
მომადართქალდა, გულს ჩამიკონა

ხან გამიციანა
ხან რიწყინა

მომაჯადოვა და.. დამიმონა
მაგრამ განვლო დრომ... ჩემი ღვთაება
ვნახე: ვილაც სხვას ჩაჭკონებოდა...

ვაპ, რა ვიცოდო
თუ დავიწოდო

თუ სიყვარული გამწარდებოდა!

ტლინკაძე

არ წყალ შუა!

სურათი მესამე.

(სცენა წარმოადგენს იმავე სახლებს. დარბაზი სანთლებით
გაჩაღებულია. შიგ სხედან საშა და მღვდელი, ხოლო ქვე-
მოთ, კიბესთან ატუხულა სოლომონი).

სოლომონა (ნაღვლიანათ) ოხ, ღმერთო! მარ-
თალი ყოფილა, რასაც საშა მწერდა ნეტავი რას
იხამს კატუშა, როდესაც დამინახავს და გაიგებს
ჩემს მოსვლას (ამოიხიზრავს) ოპ! კატო, რომ იცო-
დე რა მოგვლის. რომ იცოდე ყოველისფერი. (ნა-
ღვლიანათ) დიახ, არა ვყვარებივარ, თორემ არ და
სთანახმდებოდა, ეხლა რაღას იტყვის, რითი გამარ-
თლებს თავს (ირონიულათ იცინის) ინიშნება. ხა,
ხა, ხა... საბრალოვ, ის კი არ იცი, რომ „არ
წყალ შუა“ ხარ (ამ დროს საშა ბალკონზე გამო-
ვა და მღვდელს ხმა მალდა ეძახის).

საშა. მამაო! მე ეხლავე მოვალ, აქვე დუქან
ში მივალ, საქმე მაქვს.

მღვდელი (ჩუმათ) ჩვენსა მიიბრინე. მგონი
სოლომონი მოსულა და დაარბივ, როგორც ჩვენ
მოვილაპარაკეთ (საშა კიბეებზე ჩამოდის).

სოლ. (აღვლევებული უძახის) საშა, საშა...
(საშა მოიხედავს და დაინახავს სოლომონს)

საშა. სოლომონა ხარ?

სოლ. მე ვარ, მე, აქ მიდი.

საშა. აქ რა გინდა?

სოლ. ვეღარ მოვიტოვინე საშეკო, მამატივე

საშა, რომ გნახონ მოულო საქმე ჩაიშლება,
წვიდეთ.

სოლ. არა საშა, მითხარი, როგორ მოვიქცე
შენი ჭირიმე.

საშა. წვიდეთ, გარეთ გეტყვი, აქ არ შეი-
ძლება, წვიდეთ.

სოლ. (ხვეწით) შენი ჭირიმე მითხარი მო-
კლეთ, ვერ მომიტოვინა.

საშა კარგი, მოკლეთ გეტყვი. დღეს ვითომ

უნდა დავინიშნო, ასრე მოვახერხეთ, იმიტომაც
მოვწერე წერილი, კარგია მოხველი, თორემ დავი-
ლუპებოდი

სოლ. (მოუთმენლათ) რა დროს ხუმრობაა,
თქვი ჩქარა.

საშა. ჰო, და ასრე შენ გვითვალთვალე, რო-
დესაც მღვდელი შეიმოსოს და ერთათ დაგვაყენოს,
შენ უცბად შემოდი, დაიწყე ყვირილი, გალანძლე
კატო, მოიგონე, რომ გიკონია, წერილები ამოი-
ლე და გვაჩვენე, რასაკვირველია, მაშინ მეც აქეთ
წამოვალ და საყვედურს მივცემ, რომ რათა მატყუ-
ებდენ და ორთავენი გადავჩებით. ასრე სოლო-
მან, მე ეხლა წავალ.

სოლ. ბიჭო! რომ იტიროს და პატიება მთხო-
ვოს, რა ვქნა?

საშა. ეგ მერე შენ იცი (მიდის).

სოლ. (მარტო) ოხ, ღმერთო რაზე გამაჩინე
ასეთი უბედური. ყველნი მაქერენ ფეხს: თფროსე-
ბიც, ნაცნობიც, გულის საყვარელიც (ტირის) ოხ,
კატო, შენ მომწამლე მთელი სიცოცხლე და ეხლა
სამაგიეროს გადავიხდი (ჩაფიქრდება) არა, არა, ვა
პატივებ თუ შეინანი, ისევ ჩემი იქნება (ამ დროს
სიცილის ხმა მოესმის კატოსი, კოტა ხნის უკან
სიმღერა) იმღერე, ჩემო გულის მომკვლელო (ჩა-
ფიქრდება) მოდი ეხლავე ავალ, ვეტყვი ყოველის-
ფერს (კიბეზე ხმაურობა მოესმის და მიიკუნძება,
მერე ისევ გამოვა, ბახჩისკენ წავა, იქვე ერთ ხეზე
ადის და უყურებს ზაზაში, რომელშიაც სხედან
მღვდელი, საშა, გიორგი კატოს ძმა, კეკელა და
სამი სტუმარი. კატო მარჯვენე დახტზე ზის გი-
ტარით ხელში).

მღვდელი. (ხუმრობით) ერთი კატერინე „დამ-
წვრისა“ დაუკარი, საყვარლებზე რომ იცი ხოლომე.

კატო. (მორცხვათ, მე არ ვიცი არაფერი

საშა. გთხოვთ.

კატო. Не могу играть.

მღვდელი. ნე მაგი კი არა, მინ მაგი არ გინ-
და, დაუკარი თორემ ერთ ცვარ ღვინოს აღარ დავ
ლევ და აღარც დავინიშნამ.

კეკელა, დაუკარი შეილო, რასი გრცხვენია?

კატო. კარგი, მარა იცოდეთ, რომ კარგათ არ
ვიცი სიმღერები და არც ხმა მაქვს.

საშა. როგორც შეგიძლიათ ისრე (კატო გი-
ტარას მომართავს და დაიწყებს დაცვრას, თანაც
დამღერის).

კატო სატრფოს ველი შორის გზიდან

ყველა მოდის ის კი არა.

ვაპ თუ გზაში დაიღალა


სუსტია და ვერ იარა.

ვაპ თუ ვინმე ტურფა ნახა

და შორის გზით ჩამიარა,



1 ედუარდ VII.



2 ალბანიის ძარბა.

აგერ მესამე კვირა ვადის, რაც ოსმალეთში საშინაო ომი სწარმოებს. მთიან-გორებიანი პროვინცია ოსმალეთისა, ალბანია, აბდულ გამიდის ნუგეში და მომხრე აშკარათ აუჯანყდა ოსმალეთის ახალ მთავრობას. აჯანყების მიზეზთ ბევრს სხვა და სხვა რამეს ასახელებენ. მათ შორის თვალსაჩინოთ უნდა ჩაითვალოს ძველ უპირატესობათა ჩამორთმევა და ახალ ვადისხადის შემოღება.

ალბანელები გულადი, მერამარი ხალხია. მათი შეიარაღებული რაზმები ხშირათ კიდევაც ამარცხებენ ოსმალეთის რეგულიარულ ჯარსა. დღეშემს ყოველ დღე ახალ-ახალი ცნობები მოაქვთ მათი თავდადებული ბრძოლის შესახებ, მაგრამ საბოლოოთ მინც იძულებული იქნებიან დაემორჩილონ ახალ რეჟიმსა და ახალ მთავრობას.

1 ახლად გარდაცვალებული ინგლისის მეფე.

ამ დღეებში გარდაიცვალა ინგლისის მეფე ედუარდ VII და ინგლისის ტახტზე ავიდა ძე მისი გეორგ V.

ზოგიერთების აზრით ეს გარემოება გავლენას იქონიებს ინგლისის საერთაშორისო განწყობილებაზე, მიუხედავთ იმისა, რომ ინგლისში მეფის გავლენა საგარეო პოლიტიკაზე უფრო სუსტია, ვიდრე სხვა ქვეყნებში.

ამდენი ხნის სიყვარულმა ვაჟ თუ ტყუილათ ჩამიარა და სხ. და სხ. ყველანი ტაშის ცემას ასტევენ. კატო აღგება და გარეთ ვად ს, სოლომანი ხიდან უყურებს. მარავერ ბედავს დაძახებას).

საშა. საუცხოვოთ იმღერა, საუცხოვოთ.

მღვდელი. (ცოტა მთვრალია) ეგ იმიტომ, რომ შენ მოგწონს (ხელს გადახვევს) ერთი მრავალჯამიერი ვამღეროთ. (თითონ მღერის, გიორგი წამოდგება და შიმარათავს მღვდელს).

გიორგი. მამა დროამგონი ნიშნის კურახევისა.

მღვდელი. სიძეს ჰკითხეთ.

საშა. დროა მამ, რაღას ველოდოთ (მიიხედ-მოიხედავს). კატო სად არის?

კეკელა. ემსაჩი შემოვიყვან (გადას და შემო-ჰყავს კატო).

მღვდელი. (იმოსება შეიღებო, მოდით და ერთათ დადებით ორთავენი მივონ და დგებიან, ყველანი ფეხზე წამოდებიან ამ დროს სოლომანი ბალკონიდან შემოსასვლელ კარებში დგას და კბილებს აკოჰქნებს).

გიორგი. დაიწყეთ მღვდელი.

მღვდელი. ემ საათში (საშას თვალს უხამს, ამ ნიშნით სოლომანი მხათ არის, თუ არა პასუხს მიიღებს, რომ მხათ არის და დაიწყებს) კურახე-ულ... (ვაილება უცბათ კარები და აღელვებულად შემოდის სოლომანი, ყველანი გაშეშდებიან. კატო პირზე ხელებს მიიფარებს, კეკელას ფერი წაუვა. საშა და მღვდელი ჩუმით იცინიან)

სოლო. (კატოსკენ ხელს გაიშვერს) ქალბატონო კატო! სად დაჰკარგეთ სინდისი? სად დაჰკარგეთ პატიოსანი სიტყვა? რაზედ დაივიწყეთ ის აღიერა-სი, ის კოცნა, რომელიც ჩვენ კაკლის ქვეშ გვეკონ-და ხოლომე.

გიორგი. (აღელვებულა) გადი გარეთ.

სოლო. რა გაყვირებთ ყმაწვილო. თქვენი აღე-ლვება ჩემთვის დამშვიდება (კატოსკენ) თქვი, რა-ზედ ავიფარებია ხელები პირზე. (ამოიღებს წერი-ლებს) ეს ვისი მოწერილია, რაზე რაზე ატყუ-ებთ მეგ ყმაწვილ კაცს? ოხ, უსირცხვილო, შენ გდომებია გათხოვება, სიმდიდრე ფუფუნება და არა სიყვარული. შენი გული ყოფილა „ბაკი“ სადაც ყველას შესძლებია შენოსვლა. მშვილობით ეს-კი იცოდეთ, რომ სოლომანი გადავიხდის. (საშასკენ) შენ-კი, მეგობარო, იკოდე, რომ ეგ ქალი ჩემი იყო მთელი ერთი წელიწადი (უნდა წავიდეს მარა მღვდელი არ უშვებს)

საშა. (აქეთ წამოვა) რაზე არ მიიხარო ქალ-ბატონო კატო, თუ თქვენ გყვარდათ ვინმე. მაშ როგორც სჩანს მატყუებდით, მშვილობით (კარების-კენ წავა, კატო ტირილს დაიწყებს და სოლომანი-სკენ წავა).

კატო. (ტირის) სოლომან, ჩემო მთვარე, ჩე-მო მზევ მაპატიე მე უბედურს ნუ ჩამაგდებ ხალხს პირში (ტირის).

მღვდელი. სოლომან აპატიე და ეს ნიშნობა შენზე ვადმოვიდეს.

სოლო. მე მატყუარას არ ვაპატიებ, აი რომ იტყვიან „ორ წყალ შუაო“ ამასა ჰქვია. უნდა წა-ვიდეს მარა ყველანი მიხევევიან და ეხვეწებიან პა-ტიებას, კატო გამწარებული ტირის მერე მივა, და მუხლებს ქვეშ უჩოქებს.)

კატო. (ტირილით) სოლო... მაპატიე.. გული მისდის, ყველანი მისცივიდებიან მარა სოლომანი გაარღვევს გზას მივა ახლოს და აბრუნებს, ტირილი მოუვა, მოხევევა და ტირის, კატო მოაჩუნდება და სოლომანს ყელზე ჩამოეყიდება). სოლო ჩემო ვარ-დო მაპატიე მე მოღალატეს.

სოლო. (ეხვევა) მაპატიებია ჩემო თვალის ხურ-მუხტო (ეხვევა და ტირის).


მღვდელი. აი კაცი ასეთი უნდა, ღვინო, ღვი-ნო მოიტათ (კეკელა ცოტა ფერზე მოვა, ღვი-ნოს გამოიტანენ, გიორგიც გამხიარულდება და ბო-თლებს აიღებენ ხელში, სოლომანს და კატოს ჰკო-ცნიან.)

მღვდელი. დემურთა გაგაბენიეროთ შეილო როგორც სარა და აბელი. (სვამს).

ყველანი ერთად. დემურთა გაგაბენიეროთ მრავალჯამიერის ხმა შოისძის.)

(ფარდა)

გლები ვ—ნო.



შპრილმაზი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! გასული წლის „მათრახი-სალა-მურის“ № 19—24, მე ბრალს ვსდებდი დიდიხიზიშის ქსე-ნონ აფთიაქის კომიტეტებს მათ უმსგავსო მოქმედებაში. ბრალდებულემა თავი შეურაცხყოფილათ იცნეს და გამონი-წვიეს სამედიტორო სამართალში. მე მათ უნდობლობა გა-მოვეუცხადე, რადგან ვიცოდი, მათ აინტერესებდათ, კორეს-პონდენტის ვინაობის გაგება, და არა სიმართლის გამოკლე-ვა. დაასახელეს მედიტორები თავიანთი მხრით პ. კიკალი-შვილი, და ბურბულაძე, სოლო მე ჩემის მხრით დავასახელე, როგორც მედიტორები, აგრეთვე ჩემი რწმუნებულები. რაკი ბუნა კომიტეტებმა ველარ გაიგეს კორესპონდენტის ვინაობა და ამგვარათ კოვზი, ნაც. რწი ჩაუვარდათ, თავი მიანებეს სა-მედიტორო სასამართლოს და მიუხრდნენ.

ახლა, თუშედა ეს ვებატონები გააძევა საზოგადო-ბამ, როგორც ქსენონ-აფთიაქ დან, აგრეთვე ბანკიდანაც.

მე მიინც სასუველათ მიმანია, გადაყენებულმა კომრეტებმა შესრულონ თავიანთი იტუვა, სამედიატორო სამართლის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემ-პირ მოყვანილი ფაქტები, რომელიც მოსხუნებული იყო „მთრახვი-სალამურის“ 24 ნომერში, უცვლელად დარჩება.

„კიკოლა ბიკი“.

„მთრახვი და სალამურის“ 14 ნომერში ვიღაც „სოხუმელი“ კრიტიკა ამტკობს მითხველ სასოვადობას, რომ მე გამოვიწერე ავტომობილი და ათავებს იმით, რომ მე თითქო არაფის ვინდობდე და ყველას ვყვოდდე. ვერ გამოვიგია, საიდან გამოიყვანა ბ. კრიტიკამ ასეთი დასკვნა! შეიძლება ლექსის წერაში ვარჯიშობის სურვილმა აურია ასეთ დავთარი? ნუ თუ ავტომობილის ყოლასა და სეირნობაში გამოიხატება ყველა ეს! განა არ იცის მან, რომ მე ბირჯაში-დც არ გამოიყვანე ავტომობილი, რომ ხელი არ შეუშალო მედღეგინებს და მეცეტლებს!

რაც შეეხება იმას, რომ მე თითქო „ტუჩაში ვიყო შობილი“, ამის შესახებ ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ დიანაც მიყვარს ტუჩა და ვაყვებ თუ არა ხარალს ვინმეს, ამით ამაზე და თვით მისი წერილის სინაჟდღილეზე მსჯელობა მიმინდია თვით სოხუმელ მტხოვრებლებზედ.

ნესტორ ნოღა.



მთრახვის ფოსტა.

ოზურგეთი. ბორცს. თქვენი კასკხადება.

„ზემოხეთქობა მ.უღუვარ, მომ გებეთ ყველამ ხელი მსურს გავაცნოთ ჩემი თავი რა გვარი ვარ და რის მქნელი“. ახლა მე ამას გიმცხადებთ სწორფელი გულით, ძმურად ყველას ცუდ საქმეს ხელი აშორეთ, თუ გსურთ აცდეთ ხათაელოს“.

მართლაც რომ წარუქვი გუჟათ გიცხადებთ და გთხოვთ: ცუდ საქმეს, ე. ი. ამისთანა დეკსების წერას დახლებთ თავი და აგვადინეთ ხათაელას.

ხონი. კოვზს. თქვენი დეკსები დაიბუქდება სამხედრო წესების მოხსნის შემდეგ. ახლათ იმ დრომდე კი მოხვედრეთ კონს.

სამტრეღია. ქინას. ასეთი დეკსები ჩვენის ახრით ცაქე უნდა გამოსდეთ:

„მწარე გემო დამყოლია ვითარცა მე ქინასაცო,

სიცოცხლეში არ მიწახავს

რომ წამლი რგებდეს კაცო“.

ებ შექმდარ, აზრია. თქვენ, უკავლითად, ძვიერ მოგიხდებოდათ თრიად კუდა ეშქაის მთრახვი, მკვრამ საბუღუკათა შორის ხართ.

ხაშური. მედავითნეს. შედავითნისთვის უფრო შესაფერო „მუკუქსის“ რედაქცია იქნებოდა, რასაკვირველია, თუ არ თქვენი დეკსის „იუმორისტული“ მანასრი:

„მათ ცამე წარდგის მომლოდინეთა არ ღირს გვეო ჩვენ განთ ძალთ ძალმა. კუღინათა ვარსკვლთ შიშთ ქვეშ მყოფთ მოგვიჩდა ის თვთ უფალმა“.

უმჯობესი იქნებოდა, უკველებე ვს, რაც თვით უფაღმა შეგნიქათ“, ისევე უფლისთვის ან სხვა ვის-მესთვის შეგნიქებთა.



„ვიღებ „შრომის“ სტამბაში

და ავრეთვე კავსახენებთ მსურველით:

1909 წლის „ალმანახები“ 7 ნომერი

და „მთრახვი და სალამური“ 29 ნომერი

ერთად შეკრული 2—50 კ.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ

კ. პ. კანდელაკისა

კომოპერაცია

თეორია, ისტორია და პრაქტიკა

წიგნის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ნაღდ-ფულზე შემდეგის ადრესით: *Тифлис, Тинирафия Шროма В. К. Бомладзе.*


ვინც არა ნაკლებ 50 ცალისა გამოიწერს, და-ეთმობა 25%.

ვისაც სურს პროგრესიციებიდან თითო ცალი გაიწეროს, შეუძლია გამოგზავნოს შედი შუორის მარკები და ამ ფაშის მიიღებს თავის ადრესზე.

ორ გური მსოფლ-მხედველობა

საქიხუ-ნ.

Pe. Ma.



მარკოვი 2. მიკვირს ღმერთმანი, ამ ფულების ბეჭედიანი თვალგება სკრის და რილასთვის
ეძახიან მას „ბნელ-ფულებს“!!!